

სტრუქტურული ფუნქციონალიზმი (ტალკოტ პარსონსი და რობერტ მერტონი)

1. ელემენტარული ანუ ერთეული მოქმედების ცნება პარსონსთან
2. სოციალური მოქმედება და შემადგენელი ელემენტები
3. სოციალური სისტემა და ოთხი ფუნქციური წანამდღვარი (იმპერატივი)
4. საზოგადოება და მისი ოთხი ქვესისტემა
5. რობერტ მერტონი: ფუნქციის ცნება, ფუნქციური ეკვივალენტები, დისფუნქცია, ნათელი და ლატენტური ფუნქციები
6. კონფორმიზმი, დევიაცია და ანომია – ინდივიდთა შეგუების ტიპები.

საკვანძო სიტყვები: მოქმედ პირი, მიზანი, სიტუაცია და მოქმედების ნორმატიულ ორიენტაცია. ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია, ლატენტურობა, ნათელი და ლატენტური ფუნქცია, დისფუნქცია, კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, რეგიატიზმი, ამბოხი

სოციოლოგიაში სისტემური ანალიზი ყველაზე მეტად გამოყენებულია ტ. პარსონსისა მიერ. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება თუ მოკლედ მაინც მიმოვიხილავთ მისი მიდგომის თავისებურებებს. ტ. პარსონსის კვლევითი პათოსი მიმართულია ანალიზის ისეთი ზოგადი საქმის შემუშავებაზე, რომელიც გამოსადეგი იქნება მოქმედების ნებისმიერი სისტემისათვის. იგი ცდილობს მოიცვას სოციალური მოვლენები in toto. ამოსავალი ძირითადი დებულება აქ „სოციალური მოქმედების“ ცნებაა. სოციალური მოქმედებისაა ადამიანის ქცევა, რომელიც მოტივირებულია და წარმართულია იმ მნიშვნელობით, რომელსაც აქტორი ან მოქმედი პირი აღმოაჩენს გარემომცველ სამყაროში და რომელზეც იგი რეაგირებს.

პარსონსის აზრით, მის წინამორბედთა იდეებისა და წარმოდგენების კონვერგენციის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ ელემენტარული მოქმედების“ ცნების შემუშავების წყალობით, რომელშიც იგი ხელდავდა მოქმედების თეორიაში ანალიზის ძირითად ერთეულს. „ელემენტარული მოქმედება“(ზოგჯერ მას „ერთეულ მოქმედებასაც“ უწოდებენ) შეიცავს შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს: მოქმედ პირს, მიზანს, სიტუაციას და მოქმედების

ნორმატიულ ორიენტაციას. უფრო დაწვრილებით გაგზერდეთ ამ ელემენტთა შინაარსის დახასიათებაზე.

1. მოქმედი პირი. მისი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი გაგებულია არა როგორც ორგანიზმი, არამედ როგორც „ეგო“ ანუ „მე“. ამ უკანასკნელს განსხვავებით ორგანიზმისაგან არ აქვს სივრცობრივი (ვრცეული) ლოკალიზაცია. ამ განსხვავების მნიშვნელოვანი შედეგია მოქმედი პირის სხეულის განხილვა რაღაც ისეთისა, რომელიც მიეკუთვნება სიტუაციას.“ და მაშინ აღმოჩნდება, რომ პირობებს შორის, რომელშიც მიმდინარეობს მოქმედება, არის პირობები, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედი პირის სხეულთან, ხოლო საშუალებებს შორის, რომლებსაც იგი ფლობს, არის მისი სხეულის „ძალა“, მისი „გონების“ ძალა და ა.შ.

2. მიზანი. როგორც მოქმედების ყველა დანარჩენი ელემენტები, ისიც შეიძლება განვიხილოთ ორ დონეზე. კონკრეტული მიზანი–ესაა ნივთთა ნაგარაუდვეი მომავალი განლაგება. იგი შეიძლება იყოს არა მხოლოდ რაღაც რეალური პროდუქტი, ქცევა და ა.შ., არამედ თვით რაღაცის გაკეთების ვალდებულებაც კი. მაგრამ მიზნის ასეთი გაგების დახმარებით შეიძლება მხოლოდ მოვაწესრიგოთ ერთი მოქმედება მეორე მოქმედების მიმართ. იმისათვის კი, რათა გადავიდეთ ახსნაზე, აუცილებელია მოვახდინოთ აბსტრაგირება კონკრეტული მიზნებისაგან, რათა გადავიდეთ ანალიტიკურ დონეზე. ამ დროს აღმოჩნდება, რომ ნივთთა მომავალ განლაგებაში სრულებითაც არა ყოველი–ნებისმიერი მდგომარეობა შეიძლება დაეუკავშიროთ მიზანს. მიზანი–ესაა ნივთთა მომავალ განლაგებაში მხოლოდ ის, რაც განპირობებულია მოქმედების „სუბიექტური ასპექტით“ და არა სიტუაციით. მაშასადამე – ანალიტიკური აზრით მიზანი – „ესაა ნივთთა მომავალი განლაგება – მდგომარეობა, რომელზეც მოქმედება ორიენტირებულია იმ ფაქტის წყალობით, რომ ნივთთა ასეთი განლაგება–მდგომარეობა სასურველად ითვლება მოქმედი პირისათვის (პირებისათვის) და მნიშვნელოვანი ხარისხით განსხვავდება იმისგან, რომელიც შეიძლებოდა გველოდა, თუ სიტუაცია წარიმართებოდა ბუნებრივად და მის მიმართ არ განხორციელდებოდა რაიმე აქტიური ჩარევა.“

3. სიტუაცია. ესაა მოქმედების „გარემოცვა“ მოქმედი პირის თვალსაზრისით მისი ძირითადი თვისებაა ის, რომ იგი ვითარდება სხვა მიმართულებით, ვიდრე ნივთთა ის მდგომარეობა, რომელზეც ორიენტირებულია მოქმედება, ე.ი. მიზანი. სიტუაციის მაკონტროლებელი პირის შესაძლებლობებთან მიმართებაში იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მოქმედების პირობებისა და საშუალებების მეშვეობით.

მოქმედების „პირობები“–ესაა ელემენტები, რომელთა შეცვლა მოქმედ პირს არ ძალუძს, აგრეთვე ესაა ელემენტები, რომელთა ცვალებადობა მას არ შეუძლია თავიდან აიცილოს.

მოქმედების „საშუალებები“-ესაა ელემენტები, რომელთა კონტროლირებაც მოქმედ პირს შეუძლია.

სიტუაციის ელემენტები დამოუკიდებელია მოქმედებისაგან და ამ აზრით ისინი მუდმივნი არიან.

4. მოქმედების ნორმატიული ორიენტაცია. ესაა მოქმედების ელემენტთა ერთმანეთისადმი მიმართება – დამოკიდებულების ანალიტიკურად მოცემული წესი – ხერხი. მოქმედებაში მუდამ არის ნორმატიული ორიენტაცია. „ნორმა –ესაა მოქმედების კონკრეტული მიმდინარეობის (სვლის) ვერბალური აღწერა, რომელიც განიხილება როგორც სასურველი, იმ დანაწესთან მიმართებაში შეუთანხმოს მომავალი მოქმედება ამ ნიმუშს“. ნორმა როგორც წესი, მოიცავს როგორც ნორმატიულს, ისე არანორმატიულ ელემენტებს.

ნორმატიული ელემენტების ნიშნებია:

ა) მოქმედ პირში მისწრაფების არსებობა მისდის ამა თუ იმ დანაწესს (დანიშნულებას) მითითებას, ისე თითქოს ეს დანაწესი (მითითება) იყოს მიზანი თავისთავად, დამოუკიდებლად ყველა სხვა მოსაზრებებისგან.

ბ) მოქმედი პირის მიერ აღიარება დასახული მიზნის მოცემული საშუალებებით მიღწევის აუცილებლობისა დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორი შესაძლებლობანი არ გაჩნდება მოცემული მიზნის მიღწევის პროცესში.

მოგვცა რა მოქმედების ელემენტარული ერთეული, პარსონსი აღმოჩნდა პრობლემის წინაშე, რომლებიც უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულნი იყო ამ ერთეულთა უფრო მაღალი დონის ურთიერთობის ერთეულებში ორგანიზაციასთან. ელემენტარული მოქმედებიდან მოქმედებათა სისტემებზე გადასვლის შესაძლებლობის დაფუძნებისას პარსონსი აყალიბებს წარმოდგენას თეორიულ სისტემათა სამი ტიპისა (კულტურა, ბუნება და მოქმედება) და შესაბამისად მეცნიერებათა სამი ტიპის: კულტურის, ბუნებისა და მოქმედების შესახებ. მოქმედების შესახებ მეცნიერების ძირითადი მახასიათებელია „მიზანი-საშუალებები“ სქემის არსებობა და მათთვის საგაღდებულო სუბიექტური ასპექტის და მაშასადამე, ვერსტეჰენ-ის მეთოდის არსებობა.

ამ სისტემების მნიშვნელოვანი თავისებურება-მათი ერთი მეორეზე და „ელემენტარულ მოქმედებაზე“ დაუყვანადობაა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მოქმედების შესახებ მეცნიერებებში შემავალი სისტემების ზღვრულ შემთხვევას. ამიტომ „ელემენტარული მოქმედება“ ყოველთვის უნდა განიხილებოდეს არა იზოლირებულად, არამედ როგორც უფრო ფართო სისტემის ერთეული, რომელიც შეიცავს მსგავს მოქმედებათა სიმრავლეს, რომელსაც მთლიანობაში „მოქმედების სისტემა“ ეწოდება. მოქმედების სისტემების შესახებ წარმოდგენიდან ამოსვლისას, პარსონსი მივიდა დასკვნამდე იმის შესახებ, რომ მოქმედების შესახებ ყოველ ცალკეულ მეცნიერებაში უნდა იქნეს გამოყოფილი მისთვის სპეციფიკური საბოლოო ერთეული, რომელიც შეიცავს რა

„ელემენტარულ მოქმედებას“ ამავე დროს ასახავს მოცემული მეცნიერების თავისებურება- განსაკუთრებულობას. სოციოლოგიაში ასეთ რაიმედ უნდა იყოს „სოციალური მოქმედება“. პარსონსი შესაძლებლად თვლის ისეთი ერთეულის აგებას, როგორცაა სოციალური მოქმედება. ამასთანავე მისი ცენტრალური ელემენტი აღმოჩნდება „ინდივიდების როგორც სოციალური ჯგუფებისა და კოლექტივების წევრთა კავშირების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობანი“. ამგვარად, სოციალური მოქმედების განმასხვავებელი თავისებურებაა-მეორე- სხვა მოქმედი პირის არსებობა, მოქმედ პირთა ურთიერთორიენტირებულობა და საერთო-ზოგად ღირებულებათა საფუძველზე ინტეგრაცია.

აღვნიშნავთ, რომ სოციალური მოქმედება ამ ეტაპზე აღიწერება შემდეგი ცნებებით: მოქმედი პირი, ნორმატიული ორიენტაცია, მიზანი, სიტუაცია, მეორე (სხვა) მოქმედი პირი, ურთიერთორიენტაცია, ღირებულებები.

ახლა უკვე სოციალური მოქმედება მოიცავს:

მოქმედ პირებს,

მოქმედების სიტუაციას,

მოქმედი პირის ორიენტაციას სიტუაციაზე.

1. მოქმედი პირი. მოქმედების სისტემაში მოქმედი პირი შეიძლება იყოს ინდივიდი ან კოლექტივი. თანაც პირველი როგორც პიროვნების სისტემა, მეორე როგორც სოციალური სისტემა. მოქმედი პირი შეიძლება იყოს მოქმედების სუბიექტი ან სოციალური ობიექტი. ეს განსხვავება იწარმოება იმ ადგილის საფუძველზე, რომელიც მოქმედ პირს უკავია მოქმედების სისტემაში. თუ ის სუბიექტია, მაშინ იგი აკავებს ცენტრალურ ადგილს. მის ორიენტაციას სიტუაციაზე აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მოცემული მოქმედების განსაზღვრისათვის ურთიერთქმედების პროცესში ასეთი მოქმედი პირი იწოდება „ეგო“-დ. თუ მოქმედ პირს უკავია პერიფერიული პოზიცია, მაშინ იგი წარმოადგენს ორიენტაციის ობიექტს მოქმედების სუბიექტისათვის. ასეთი მოქმედი პირი ხდება სოციალური ობიექტი. ურთიერთქმედების პროცესში იგი ეწოდება „ალტერ“-ად.

2. სიტუაცია აღიწერება მის შემადგენელ ობიექტთა მეშვეობით -გზით. ისინი სოციალურ და არასოციალურ ობიექტებად იყოფიან.

სოციალური ობიექტები. ისინი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდები, ისე კოლექტივები. ამით პარსონსი ხაზს უსვამს, რომ მოქმედების სისტემები წარმოადგენენ ერთმანეთზე დამოკიდებულ მოქმედ პირთა მრავალსახეობას. მოქმედი პირი (მოქმედების სუბიექტი) შეიძლება ორიენტირებული იყოს თავის თავზე როგორც სოციალურ ობიექტზე ან სხვა მოქმედ პირებზე, რომლებიც მოცემულ მოქმედებაში გამოდიან როგორც სოციალური ობიექტები, ანუ გვევლინებიან სოციალური ობიექტების სახით.

არასოციალური ობიექტები. ამ ობიექტთა დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მათ არ შეუძლიათ, მოქმედ პირთან ურთიერთქმედება. ისინი ორი ტიპისაა:

ფიზიკური და
კულტურული.

პირველს მიეკუთვნებიან გარემომცველი სინამდვილის ყველა საგანი და მოვლენა, მოქმედი პირის სხეულის ჩათვლით,

მეორე-კულტურული ობიექტები აუცილებელია განვასხვაოთ მოქმედი პირის მიერ ათვისებული (ინტერნალიზებული) კულტურის ელემენტებისაგან. უნარი იყვე ათვისებული და ამის წყალობით გადახვიდე ერთი მოქმედი პირიდან მეორეზე წარმოადგენს კულტურულ ობიექტთა განმასხვავებელ თვისებას ფიზიკურ ობიექტებთან შედარებით. კულტურულ ობიექტთა მაგალითებად პარსონსი მიიჩნევს რწმენათა, რიტუალებს, ტრადიციასა და ა.შ. სისტემებს.

3. ეგო“-ს ორიენტაცია სიტუაციაზე. მისი ელემენტები შეიძლება დაყოფილ იქნენ ორ ძირითად ჯგუფად:

მოტივაციური ორიენტაცია და
ღირებულებითი ორიენტაცია.

მოტივაციურ ორიენტაციას განეკუთვნება სიტუაციაში მყოფი ობიექტებით მოქმედი პირის ნამდვილი და პოტენციალური დაკმაყოფილებულობა და დაუკმაყოფილებულობა.

მოტივაციური ორიენტაცია სამი სახისაა:

1. კოგნიტური.
2. კათეკტიკური და
3. შეფასებითი.

პირველი გულისხმობს მოქმედი პირის შემეცნებით დამოკიდებულებას ობიექტური სინამდვილისადმი, მეორე-გრძობად დამოკიდებულებას (მიჯაჭვეულობა, მიჩვევა, სიყვარულს, ზიზღს და ა.შ.), მესამე-მიზნების, საშუალებების, ობიექტების (შესაძლებელ ალტერნატივათა შორის) შეფასებას მოქმედი პირისათვის შედეგების თვალსაზრისით, რომლებიც შეიძლება მოყვეს ამა თუ იმ ალტერნატივის არჩევანს.

ღირებულებითი ორიენტაცია წარმოადგენს ინტერნალიზებულ სტანდარტთა ნაკრების შინაარსს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ალტერნატივათაგან ერთ-ერთის არჩევა, ე.ი. შეფასება. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ინტერნალიზაციის მომენტის გათვალისწინება, რამდენადაც თვით სტანდარტები ეხებიან კულტურის სისტემას და არა პიროვნებისას.

ორიენტაციის ცნებას აზრი აქვს მხოლოდ მოქმედ პირთან მიმართებაში. მოტივაციური ორიენტაცია ორგანიზაციას უკეთებს მოქმედი პირის განსხვავებულ ქცევებს

და აქცევს მას მოქმედების ერთიან პროცესად. ღირებულებითი სტანდარტები ღირებულებითი ორიენტაციების მეშვეობით აღმოჩნდებიან დაკავშირებულნი მოტივაციურ ორიენტაციებთან და შესაბამისად იყოფიან

1. კონტურ,

2. შეფასებით და

3. მორალურ სტანდარტებად. ყველა ისინი წარმოადგენენ პიროვნების სისტემაში განხორციელებული ერთიანი მაროიენტებელი– პროცესის სხვადასხვა ასპექტებს.

მაშინ როგორი წესით აღმოჩნდება შესაძლებელი მოქმედების ასეთი გაგების დროს გაერთიანება ერთის მხრივ, პიროვნული სისტემისა, ხოლო მეორეს მხრივ კი–სოციალური სისტემისა?

სოციალური სისტემა და სოციალური მოქმედება. სოციალური მოქმედების ცნების გაანალიზების შემდეგ, პარსონსი აკეთებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ადამიანის მოქმედება ყოველთვის სისტემურობით ხასიათდება, ანუ სისტემურ თავისებურებებს ფლობს. იგი მისადგომია სისტემური ანალიზისადმი სწორედ იმ თავისებურებათა გამო, რომელთა მიხედვითაც სოციალური მოქმედება არასოდეს არ არის მარტივი და იზოლირებული, იგი რთულია და სულ მცირე, ორი ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულებას მაინც გულისხმობს. ნებისმიერი მოქმედება შეიძლება ერთსა და იმავე დროს განვიხილოთ როგორც ერთეულ მოქმედებათა ერთობლიობა, ისე როგორც უფრო ფართო მთლიანობის შემადგენელი ნაწილი. პარსონსის მიხედვით, მოქმედების სისტემა, უპირველეს ყოვლისა, ესაა მოქმედი პირისა და სიტუაციის, რომელშიც იგი იმყოფება, ურთიერთქმედების – ურთიერთდამოკიდებულების ორგანიზაცია. ასეთ შემთხვევაში, მოქმედების სისტემის გაგება უკვე შეუძლებელი ხდება „ფუნქციის“ ცნების შემოტანის გარეშე. იმისათვის, რომ იარსებოს, სისტემამ უნდა იმოქმედოს. სისტემის ფუნქციები შეესატყვისება საქმიანობის იმ სახეებს, რომელთა დანიშნულებაა დააკმაყოფილოს სისტემის მოთხოვნილება ან მოთხოვნილებები სისტემის სახით.

პარსონსი ფიქრობს, რომ ნებისმიერი სისტემა აუცილებლობით მოიცავს ან ატარებს ოთხ ფუნქციას, რომლებიც აკმაყოფილებს მის ელემენტარულ მოთხოვნილებებს და ამავე დროს მოქმედების სისტემის „ფუნქციური წინამძღვრებია“.

1. **ადაპტაცია**, რომელიც მიმართულია მოქმედების სისტემასა და მის გარემოს შორის ურთიერთობის დადგენაზე. ამ ფუნქციის არსი ისაა, რომ გარემოში არსებული, ანუ გარეგანი სისტემებისაგან ამოიღოს ის რესურსები, რომლებიც

აუცილებელია მოქმედების სისტემისათვის. სწორედ თავისი მოთხოვნებისა და საჭიროების მიხედვით გაუკეთოს მათ ორგანიზაცია და გარდაქმნას, ხოლო სანაცვლოდ მისცეს მათ თავისი საკუთარი „პროდუქტი“. ამგვარად, ადაპტაციის მეშვეობით სისტემა ეგუება გარემოსა და მის შეზღუდვებს, უთანადებს რა მათ თავის მოთხოვნებს.

2. **მიზნის მიღწევა** მდგომარეობს სისტემის მიზანთა განსაზღვრასა და მისი მიღწევისათვის აუცილებელი ენერჯისა და რესურსების მობილიზაციაში.

3. **ინტეგრაცია.** ესაა სისტემის მასტაბილირებელი პარამეტრი (განზომილება). იგი მიმართულია სისტემის ნაწილთა შორის „სოლიდარობაზე“, ამ სისტემის მკვეთრი ცვლილებებისა და ძლიერი ძვრებისაგან დაცვაზე.

4. მოქმედების ნებისმიერმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს თავისი მოქმედ წევრთა ანუ აქტორთა აუცილებელი მოტივაცია. იგი უნდა ფლობდეს მოტივაციათა მარაგსაც, როგორც აუცილებელი ენერჯის წყაროსა და შემგროვებელს. პარსონსი ამ ფუნქციას „**ლატენტურობას**“ უწოდებს. ესაა „ნიმუშთა (წესთა) მხარდაჭერის – შენარჩუნების“ ფუნქცია, რომელიც მიმართულია სისტემის ნორმებისა და ღირებულებების მიმართ მოქმედ პირთა ერთგულების შენარჩუნების უზრუნველობაზე და იმაზე, რომ აქტორებმა კვლავ გააგრძელონ ამ ღირებულებებით ორიენტირება თავიანთ საქმიანობაში.

პარსონსი ამით არ კმაყოფილდება და მოქმედების ზოგად სისტემას ოთხ ქვესისტემად ყოფს:

1. ბიოლოგიური ორგანიზმი;
2. ფსიქოლოგიურად ინდივიდუალური პიროვნება;
3. სოციალური სისტემა;
4. კულტურა.

ამგვარი დაყოფა შეესატყვისება მოქმედების სისტემის ოთხ ელემენტარულ ფუნქციად დაყოფას. ბიოლოგიური ორგანიზმი შეესატყვისება ადაპტაციის ფუნქციას, რამეთუ სწორედ შეგრძნებების საშუალებით დგინდება კონტაქტები მატერიალურ სამყაროსთან ან მასთან შეგუების, ან მისით მანიპულირების ან მისი გარდაქმნის მიზნით. ფსიქოლოგიურად ინდივიდუალურ პიროვნებას შეესატყვისება მიზნის მიღწევის ფუნქცია. სწორედ ფსიქოლოგია განსაზღვრავს მიზნებს, ააქტიურებს ენერჯიას და მობილიზებას უკეთებს რესურსებს მათ მისაღწევად. სოციალური სისტემა შეესატყვისება ინტეგრაციის ფუნქციებს. იგი ქმნის

სოლიდარობას, აწესებს შეზღუდვებს, მხარს უჭერს კავშირთა განმტკიცებას. დაბოლოს, კულტურას შეესატყვისება ლატენტურობის ფუნქცია – იგი აქტორებს ანუ მოქმედ პირებს სთავაზობს ან თავს ახვევს მათ „მამოტივირებელ“ იდეალებს, ღირებულებებს. ამგვარად მოქმედების ზოგადი სისტემის ქვესისტემათა კლასიფიკაცია პარსონსთან წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

1. ბიოლოგიური ორგანიზმი (ადაპტაცია);
2. პიროვნება (მიზნების მიღწევა);
3. სოციალური სისტემა (ინტეგრაცია);
4. კულტურა (ლატენტურობა).

საინტერესოა პარსონსის მოსაზრება ამ ქვესისტემათა ურთიერთმიმართების იერარქიულობის თაობაზე. კიბერნეტიკის გავლენით, იგი ხაზს უსვამს, რომ მოქმედების სისტემას ახასიათებს ენერჯისა და ინფორმაციის მუდმივი ცირკულაცია. როგორც ცნობილია, კიბერნეტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი აღგენს, რომ ინფორმაციით ყველაზე მდიდარი ნაწილაკები მართავს იმ ნაწილაკებს, რომელიც ყველაზე მდიდარია ენერჯით. შესაბამისად, მოქმედების სისტემაში არსებობს იერარქიულად განლაგებული კუმულატიურ დონეთა მთელი რიგი. იერარქიის ბაზაა მოქმედების განმაპირობებელი ენერჯით ყველაზე მდიდარი ფაქტორები. ყველაზე მაღლა დგას მაკინტროლებელი ფაქტორები, რომელიც საკმაოდ მდიდარია ინფორმაციით. თუ ამ პრინციპებს მივუსადაგებთ მოქმედების სისტემის ოთხ ქვესისტემას, მაშინ აღმოჩნდება, რომ ბიოლოგიური ორგანიზმი ესაა ენერჯით ყველაზე მდიდარი და ინფორმაციით ყველაზე ღარიბი ქვესისტემა. მეორე საფეხურზე იქნება პიროვნება, შემდეგ სოციალური სისტემა, დაბოლოს – კულტურა, რომელიც ყველაზე მდიდარია ინფორმაციით და ყველაზე ღარიბია ენერჯით. ამის შესატყვისად ოთხ ქვესისტემას შორის მყარდება კონტროლის იერარქიაც. იგივე პრინციპი მისაღებია ოთხ ფუნქციური წინამძღვრისათვის. ამგვარად, მართვის იერარქია დგინდება, იწყება ლატენტურობიდან (ის ყველაზე მდიდარია ინფორმაციით), შემდეგ გადადის ინტეგრაციაზე, მიზნის მიღწევაზე და საბოლოოდ ადაპტაციაზე ჩერდება.

ახლა გავაანალიზოთ თუ როგორ ესახება პარსონს სოციალური სისტემისა და საზოგადოების, სოციალური სისტემისა და მისი ერთ-ერთი ქვესისტემის – პოლიტიკური სისტემის ურთიერთდამოკიდებულება. მთავარი, რაც სოციოლოგიამ

უნდა შეისწავლოს, არის სოციალური სისტემა, რომელიც შედგება მოქმედ პირთა (აქტორთა) ურთიერთმოქმედებისაგან.

სოციალური სისტემისათვის, ისევე, როგორც მოქმედების ყოველი ქვესისტემისათვის, სამი დანარჩენი „გარემოა“ ანუ გარემომცველი სინამდვილე. ამგვარად, ურთიერთდამოკიდებულებათა ქსელი აერთიანებს ოთხივე ქვესისტემას, ყოველი ქვესისტემა დანარჩენთა მიმართ ურთიერთქმედებისა და ურთიერთგაცვლის მდგომარეობაში იმყოფება. თუ შევცვლით ანალიზის დონეს და სოციალურ სისტემას განვიხილავთ უკვე არა როგორც ქვესისტემას, არამედ როგორც მოქმედების სისტემას, მაშინ იგი თვით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ოთხი ქვესისტემის: ადაპტაციის, მიზნის მიღწევის, ინტეგრაციისა და ლატენტურობის შესატყვისი სახით. ასეთი განხილვისას, პარსონსი უფრო ხალისით ლაპარაკობს „საზოგადოების“, ვიდრე „სოციალური სისტემის“ შესახებ. განსხვავებით სოციალური სისტემისაგან (რომელიც ანალიტიკური, აბსტრაქტული კატეგორიაა), „საზოგადოების“ ცნება შეეფარდება იდენტიფიცირებულ, კონკრეტულ რეალობას. თუ საზოგადოების შინა ორგანიზაციას მივუყენებთ მოქმედების სისტემის ანალიტიკურ მოდელს, მაშინ ხელთ შეგვრჩება „საზოგადოების“ შემადგენელი ოთხი ქვესისტემა:

1. ადაპტაცია. ამ შემთხვევაში იგი ეხება საქმიანობის ყველა სახეს, რომელიც დაკავშირებულია სახმარ ღირებულებათა წარმოებასა და გაცვლასთან, ამიტომ იგი შესატყვისება საქმიანობის ყველა სახეს, რომელიც ეკონომიკას ანუ ეკონომიკურ ქვესისტემას შეადგენს.

2. მიზნის მიღწევა. საზოგადოებასთან მიმართებაში ესაა კოლექტიური მიზნებისაკენ სწრაფვა, აქტორთა და საზოგადოების რესურსთა მობილიზაცია ამ კოლექტიური მიზნის მისაღწევად. პარსონსი ამ ქვესისტემას პოლიტიკას უწოდებს. ასევე შვარცენბერგი აკეთებს, ჩენი აზრით, სწორ შენიშვნას, რომ პარსონსი ტერმინ პოლიტიკას იყენებს ძალიან ფართო აზრით – გადაწყვეტილებათა მიღების, სისტემის რესურსთა მობილიზაციისა და ორგანიზაციის ყველა ფორმის აღსანიშნავად. ამიტომ გასაგები ხდება ის გარემოება, რომ პოლიტიკას ადგილი აქვს როგორც წარმოება-დაწესებულებებში, ისე, რა თქმა უნდა, სახელმწიფოშიც.

3. ლატენტურობა. იგი ამ შემთხვევაში წარმოადგენს საზოგადოების წევრთა სოციალიზაციის (ოჯახი, განათლება, სისტემა და ა.შ.) ქსელს. მისი დახმარებით

კულტურა გადაეცემა საზოგადოების წევრებს, რომლებიც ითვისებენ მათ და იგი იქცევა მათი საზოგადოებრივი ქცევის მოტივირების მნიშვნელოვან ფაქტორად.

4. ინტეგრაცია. საზოგადოების ინტეგრაცია დამოკიდებულია „სოციალურ გაერთიანებებზე“ – ინსტიტუტთა (სამართალი, სასამართლო აპარატი და სხვა.) ერთობლიობაზე. მათი ფუნქცია მდგომარეობს სოლიდარობის კავშირის დადგენასა და შენარჩუნებაში, რომელიც შეიძლება თავისი წევრებისაგან მოითხოვოს საზოგადოებამ. თუ დავაკვირდებით ამ დაყოფას, აღმოვაჩინოთ, რომ ამ ოთხ ქვესისტემას (ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციალიზაციის ინსტიტუტები და სოციალური ინსტიტუტები) შორის არსებობს ურთიერთგაცვლათა რთული ქსელი, რამეთუ თითოეული მათგანი ღია სისტემაა, რომელიც მიმართებაშია და ურთიერთქმედებს მის გარემოსთან, რომელიც შეადგენს კიდევ მის გარემოს.

რობერტ მერტონი

სტრუქტურული ფუნქციონალიზმის უფრო ზომიერი და ემპირიულად უფრო მომუშავე ვარიანტი შემუშავებული აქვს რობერტ მერტონს, რომელსაც “საშუალო რანგის” თეორიასაც უწოდებენ. მერტონი ძირითადი ცნებებისა და პოსტულატების ანუ დაშვებების ანალიზით იწყებს. რა არის ფუნქცია? ტერმინ „ფუნქცია“ მრავალი მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ყველა გამოსადეგი არაა სოციალური ანალიზისათვის. რ. მერტონი გამოყოფს ფუნქციის ცნების ხუთ მნიშვნელობას:

1. ფუნქცია, როგორც საზოგადოებრივი დავალება, რომელიც დაკისრებული აქვს კონკრეტულ პირს.

2. ფუნქცია, როგორც საქმიანობის სპეციალიზებული გვარი, რომელიც ინდივიდის საქმიანობის მუდმივი წყაროა (უფრო ვიწრო გაგებით ეს არის კონკრეტული თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ სტატუსთან და როლური აქტივობის სფეროსთან). სოციოლოგიური ანალიზისათვის – შენიშნავს მერტონი – ეს ფრიად ფართო ცნებაა.

3. ფუნქცია, როგორც მათემატიკურ მიმართებათა გამომხატველი, როდესაც (ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული განსაზღვრების თანახმად) ცვლადი არის მეორე ცვლადისა თუ ცვლადთა სიმრავლის ფუნქცია, თუ მისი მნიშვნელობა ცალსახად განსაზღვრულია მეორე ცვლადის (-ების) მნიშვნელობით (-ებებით).

4. ფუნქცია, როგორც სტრუქტურულ ერთეულთა კავშირის – სისტემის წარმომქმნელი პრინციპი.

5. ფუნქცია, როგორც ობიექტური შედეგი, რომელიც კეთილსასურველია – სასარგებლოა სისტემის შემგუებლობისა და ინტეგრირებისათვის, განსხვავებით აქტორთა (მოქმედთა) სუბიექტურ ჩანაფიქრთანგან, რომლებითაც იწყებენ ისინი ფუნქციონის შესახებ საკუთარ წარმოდგენათა რეალიზაციას.

მერტონი აკრიტიკებს „აბსოლუტურ“ ფუნქციონალიზმს, რომელიც დაფუძნებულია სამ პოსტულატზე (დაშვებაზე):

1. **ესაა საზოგადოების ფუნქციური ერთიანობა;** ამ დაშვების მიხედვით, კულტურის ყველა ელემენტი და სოციალური საქმიანობის სახეები ფუნქციურია მთელი კულტურული და სოციალური სისტემისათვის. მართალია, ეს დაშვება უპირობოდ დასტურდება მცირერიცხოვან და ძლიერ ინტეგრირებულ პრიმიტიულ გაერთიანებებში – ჯგუფებში, მაგრამ თუ მას გამოვიყენებთ რთული, დიფერენცირებული საზოგადოების მიმართ მაშინ შეუძლებელია – ამბობს მერტონი – ვამტკიცოდ, რომ ნებისმიერი საქმიანობა – მოქმედება ასრულებს რაღაც მთელი საზოგადოებისათვის აუცილებელ და საჭირო ფუნქციას.

2. **სოციალურ საკითხთა ფუნქციური უნივერსალობის დაშვება;**

ამ დაშვების არსი ისაა, რომ თუ მოქმედ სოციალურ სისტემაში არსებობს ესა თუ ის სოციალური ქვეგანყოფილება – ელემენტი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს დადებითი შედეგი სოციალური სისტემის ინტეგრაციისათვის. კულტურის ან საზოგადოების ყოველი ელემენტი ასრულებს ერთ ან რამდენიმე ფუნქციას. ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებდეს, თუ იგი არ პასუხობს მთელის რაღაც მოთხოვნებს. მაგრამ, შენიშნავს მერტონი, თუ ავიღებთ ემპირიულ სისტემას და ვეცდებით მის შესწავლას, მაშინ დავინახავთ, რომ მასში ემპირიულ შესაძლებლობათა გაცილებით ფართო სპექტრი არსებობს.

პირველი – ცალკეულ ელემენტებს ან ქვედანაყოფებს შეიძლება მთელი სისტემისათვის ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ არა მხოლოდ დადებითი ფუნქციური მნიშვნელობა, არამედ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ ნაწილთა ან მთელი სისტემის დისფუნქციაც კი.

მეორე – ზოგიერთი ზემოქმედების მიმართ, რომელსაც აქვს ფუნქციის ან დისფუნქციის ხასიათი, აღიარებული გარკვეული მოვალეობები. შესაბამისად, ისინი ითვლებიან „ცხად“ (ნათელ) ფუნქცია – დისფუნქციებად. მაშინ, როდესაც სხვა მოქმედებათა მიმართ არ არის რაიმე მოვალეობა აღიარებული და გაცნობიერებული – ამდენად, ისინი ითვლება, „ფარულ“, „ლატენტურ“ ფუნქცია-

დისფუნქციებად. ამგვარად, მალინოვსკისა და ბრაუნის განსხვავებით, რომლებიც ტავტოლოგიის ხაფანგში ვარდებიან – მერტონი გვთავაზობს შევისწავლოთ როგორც აშკარა, ისე ფარული ფუნქციები, რომლებიც განსხვავებულ როლს ასრულებენ ინდივიდის, ქვეჯგუფების, უფრო რთული სოციალური სტრუქტურებისა და კულტურის მიმართ. ამით თანამედროვე ფუნქციონალიზმი თავისი ადრინდელი ფორმების უკიდურესობთა კომპენსაციას ახდენს და ყურადღებას ამახვილებს გავლენათა იმ ძირითად ტიპებზე, რომელთაც სოციალური სისტემის შემადგენელი ელემენტები და ქვეგანყოფილებანი ახდენენ ერთმანეთზე და თვით სოციალურ მთელზე.

3. მესამე – სოციალურ სისტემებში ფუნქციური აუცილებლობის პოსტულატი.

ეს პოსტულატი გამომდინარეობს პირველი ორისაგან. თუ ყველაფერი სასარგებლოა მთელის ფუნქციობისათვის, მაშინ აუცილებელია, რომ საგნები იყოს ისეთი, რასაც ისინი წარმოადგენს, რანიც ისინი არიან. მაშასადამე, კულტურის ან საზოგადოების ყოველი ელემენტი აუცილებელია. მერტონი კი ამგვარ მტკიცებას არასწორად, გადაჭარბებულად მიიჩნევს, სინამდვილეში ზოგიერთმა ელემენტმა შეიძლება დაკარგოს ყოველგვარი ფუნქცია, ან სავსებით შესაძლებელია დაუშვათ, რომ არც კი ჰქონია იგი, ასე რომ, ამგვარი ელემენტი სრულიადაც არ ატარებს საჭირო და აუცილებელ ხასიათს.

მერტონი სიყალბედ მიიჩნევს ნებისმიერ განცხადებას, რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ განსაზღვრული ელემენტები და სტრუქტურები შეიძლება გამოგვადგეს სისტემური რეკვიზიტის (აუცილებელი) სახით. რამეთუ ემპირიული, კონკრეტული სამყაროს შესწავლისას ცხადი ხდება, რომ შეიძლება არსებობდეს „ალტერნატიული სტრუქტურები“, რომლებიც ერთნაირად ასრულებენ ფუნქციებს, ანუ ერთნაირი რეკვიზიტებია როგორც ერთმანეთის, ისე განსხვავებულ სისტემებში. ამიტომ მერტონი თვლის, რომ ფუნქციური ანალიზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ სისტემაში მოქმედ „ფუნქციური ეკვივალენტების“, აგრეთვე „ფუნქციური“ შემცვლელების სხვადასხვა ტიპების მიმართ ინტერესს. ამით კი ფუნქციური ანალიზი სისტემის სოციალურ ქვეგანყოფილებებსა თუ ინსტიტუტებს არ თვლის აუცილებელ ელემენტად და მაშასადამე თავიდან იცილებს იმ ტავტოლოგიურ ხაფანგს, რომელიც მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი დაუშვებთ, რომ ეს ქვეგანყოფილებანი არსებობს იმისთვის რათა უზრუნველყონ სისტემის უწყვეტი არსებობა. ამგვარად, მერტონმა იმით, რომ შემოიტანა სამი ახალი

ფუნქციური ცნება: **ფუნქციური ეკვივალენტი; დისფუნქცია; აშკარა და ლატენტური (ფარული) ფუნქცია;**

გაიზარდა ფუნქციური მიდგომის ქმედითუნარიანობა, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია სოციოლოგიის განვითარებაზე. მოკლედ გავანალიზოთ თითოეული მათგანი:

1. **ფუნქციური ეკვივალენტი.** რომელიმე ქვეგანყოფილებას შეუძლია ფუნქციის მიხედვით შეცვალოს სხვა ელემენტი ან ქვეგანყოფილება, რომელიც მის ეკვივალენტად გამოდგება, ასრულებს რა იგივე საქმეს მასთან ერთად ან მის ნაცვლად. მერტონი წერს: „როგორც ერთ ელემენტს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფუნქცია, ისე ერთი ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ურთიერთშემცვლელმა ელემენტებმა“ (იქვე) მაგალითად, პოლიტიკურ კლუბს შეუძლია თავის თავზე აიღოს პროგრამის შედგენა როგორც ამას აკეთებს პარტია. მცირეხარისხოვან პარტიას შეუძლია შეასრულოს რომელიმე სოციოპროფესიონალური კატეგორიის, „ინტერესთა არტიკულაციის“ ფუნქცია, როგორც ამას აკეთებენ ზეწოლის ჯგუფები და ა.შ.

2. **დისფუნქცია.** შეიძლება ვთქვათ, რომ „ფუნქციები“ ხელს უწყობს, ხოლო დისფუნქციები ხელს უშლის სისტემათა რეგულაციასა და ადაპტაციას. როგორც მერტონი აღნიშნავს, „ფუნქციები ესაა დაკვირვებადი ზემოქმედებანი, რომელთაც მიზნად აქვთ ხელი შეუწყონ მოცემული სისტემის ადაპტაციას ან რეგულირებას; დისფუნქციები კი ესაა დაკვირვებადი შედეგები, რომლებიც ამდაბლებენ სისტემის ადაპტაციისა და რეგულირების უნარს“, მაშასადამე , ზოგიერთი სოციალური ან კულტურული ელემენტი-ფაქტორი შეიძლება საზიანო შედეგების მქონე და დამღუპველი აღმოჩნდეს და სისტემის სწორი ფუნქციობის მუხრუჭად იქცეს. მაგალითად, რომელიმე რელიგიურმა რწმენამ ან რიტუალმა შეიძლება ეკონომიკის განვითარებას არახელსაყრელი პირობები შეუქმნას და დაამუხრუჭოს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.

3. **ნათელი (ცხადი) და ლატენტური (ფარული) ფუნქციები.** აშკარა – ნათელი ფუნქციები ესაა ობიექტური შედეგები, რომელიც ხელს უწყობს რა, სისტემის რეგულირებისა და ადაპტაციას – სისტემის შემადგენელ წევრთა მიერ გაცნობიერებული და აღიარებულია. აშკარაა – ნათელი ფუნქციები, რომელიც გაცნობიერებული და აღიარებულია. შესაბამისად, ლატენტურია ფუნქციები, რომელიც არც გაცნობიერებულია და არც აღიარებულია. აშკარაა – ნათელი

ფუნქციები საესეებით შეგნებულად მიმართულია სისტემის რეგულირებასა და ადაპტაციაზე. ლატენტურ ფუნქციებსაც შეუძლია მიგვიყვანოს ასეთივე შედეგებთან, ოღონდ გაუცნობიერებლად; გარე დამკვირვებლისათვის შესამჩნევი ლატენტური ფუნქციები ან დისფუნქციები საზოგადოების წევრთა მიერ არ ცნობიერდება. იმის გამო, რომ ფარული ფუნქციების გაცნობიერება არ ხდება, იგი ნაკლებმნიშვნელოვნად არ იქცევა და აუცილებელია მისი გათვალისწინება, რატა ღრმად ჩაეწვდეთ საქმიანობისა და სტრუქტურის ყველა სახეს. აშკარა ფუნქციები დამახასიათებელია მოქმედებათა იმ მოდელებისათვის, რომელთა შედეგებს განსაზღვრული მიმართულება აქვთ და აღიარებულია მისი წევრების მიერ; ფარული ფუნქციების კი – ისინია, რომელთა შედეგებიც არ გამოიჩენება არც მიმართულებით, არც აღიარებითა და არც მოწონებით. საომარ მოქმედებებს შეიძლება ჰქონდეს წარმართული – მიმართულების მქონე შედეგები, რომელიც შეიძლება არ იყოს სასურველი საზოგადოებრივი უშიშროების თვალსაზრისით. მაგალითად, ამერიკაში 60-70-იან წლებში სტუდენტური დემონსტრაციები აღმოცენდა ვიეტნამში აშშ-ს სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რამაც თავის მხრივ, გამოიწვია ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტში სწავლების პროგრამებისა და პრაქტიკის შეცვლა. ასევე შეიძლება გამოვეყნოთ მოქმედებანი და გადაწყვეტილებანი, რომლებიც ფუნქციურია მთლიანად პოლიტიკური სისტემისათვის, მაგრამ დისფუნქციურია განსაზღვრული ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ. მაგალითად, სამხედრო ფორმირებების შექმნა შეიძლება ფუნქციური იყოს ქვეყნის უშიშროების თვალსაზრისით, მაგრამ დისფუნქციური აღმოჩნდეს ეკონომიკური სტაბილურობისათვის, რამეთუ ზედმეტი სამხედრო ხარჯები აღრმავენ ინფლაციას და სერიოზულ პრობლემებს უქმნის ხელფასზე მცხოვრებ ადამიანებს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ლატენტური ფუნქციები და დისფუნქციები საზოგადოების წევრთა მიერ არ დაიკვირვება და არ ცნობიერდება, მერტონი იყენებს ტ. ვებლენის მიერ ჩატარებულ „საჩვენებელი მოხმარების“ ანალიზს, რომელიც გადმოცემულია წიგნში „Теория праздного класса - (1984 г. М)“. რატომ ყიდულობენ ადამიანები ძვირფას საქონელს: ხიზილალას, ვერცხლის კოვზებს და ა.შ.? კითხულობს ვებლენი და პასუხად მიუთითებს ცხად ტოლობას: მომხმარებელი ძვირფას საქონელს ყიდულობს არა იმიტომ, რომ ისინი საუკეთესო ხარისხისაა, არამედ რამდენადაც ისინი ძვირია. საჩვენებელი მოხმარება მიმართულია

სოციალურ იერარქიულ კიბეზე თავისი ადგილის ამადლებასა და განმტკიცებაზე. ამით ინდივიდები ცდილობენ მატერიალური კეთილდღეობის, სიმდიდრის სიმბოლიზებას და, შესაბამისად, სტატუსის მოპოვებას ან შენარჩუნებას.

კონფორმიზმი, დევიაცია და ანომია

1. თუ დღემდე ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თეორიები ცდილობდნენ საზოგადოებრივი სტრუქტურის უარყოფითი მოვლენები, ადამიანის ბიოლოგიურ იმპულსებზე სუსტი სოციალური კონტროლით აეხსნათ (მაგ. ფსიქონალიზი), უფრო ობიექტურია ამგვარი მოვლენების ახსნა თვისთ სოციალური სტრუქტურიდან ამოსვლით. რაც გააკეთა კიდევ ამერიკელმა სოციოლოგმა რობერტ მერტონმა. გადახრითი ქცევების საფუძველი უპირველეს ყოვლისა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურებშია საძიებელი. გადახრითი ქცევის (დევიანტური) სოციოლოგიური შესწავლა ნიშნავს დავადგინოთ თუ როგორ ქმნის სოციალური სტრუქტურები ისეთ პირობებს, რომლებშიც სოციალური ნორმებისა და წესების დარღვევა “ნორმალურ” (მოსალოდნელ) რეაქციად ითვლება. ამგვარი მიდგომის მთავარი ამოცანაა გავიგოთ თუ რა აზრით უბიძგებს საზოგადოების სტრუქტურა ამავე საზოგადოების ზოგიერთ წევრს სოციალური ნორმებისა და წესებისადმი შეუსაბამო ქცევისაკენ.

2. გადახრითი (დევიანტური) ქცევების სოციოლოგიური ანალიზი მოითხოვს ორი ძირითადი ცნების: კულტურული მიზნებისა და ინსტიტუციონალური ნორმების თანაფარდობისა და შინაარსის გარკვევას. ისინი ორივენი სოციალური და კულტურული სტრუქტურების ორი განსაკუთრებული ელემენტია.

2.1 კულტურული მიზნები შედგება მისწრაფებებისა და ინტერესებისაგან, რომლებიც კანონიერი მიზნების სახეს იღებენ მთელი საზოგადოების ან მისი ნაწილისათვის. ესენი იგივე “სასიცოცხლო მიზნებია”, რომლებისადმი სწრაფვაც ღირს.

2.2 კულტურული სტრუქტურის მეორე ელემენტი განსაზღვრავს, აწესრიგებს და აკონტროლებს ამ მიზანთა მიღწევის მისაღებ წესებსა და საშუალებებს. რამეთუ ნებისმიერი სოციალური ჯგუფი მუდამ უკავშირებს საკუთარ სტრუქტურულ მიზნებსა და მათი მიღწევის წესებს საზოგადოებაში მიღებულ მორალურ თუ სოციალურ ნორმებთან.-

2.3 სოციალური სტრუქტურის ამ ორ ფაქტორს შორის ნამდვილი თანასწორობა მხარდაჭერას პოულობს მანამ, ვიდრე დიდია ინდივიდთა

კმაყოფილება მიღწეული მიზნებითაც და მათი მიღწევის ინსტიტუციონალიზებული წესებითაც. შესაბამისად, სოციალური სტრუქტურების განაწილება ისეთნაირად უნდა ხდებოდეს, რომ თითოეული პოზიციისათვის უნდა არსებობდეს დადებითი სტიმულები თითოეული მათგანის მიერ საკუთარი ფუნქციებისა და მოვალეობების მკაცრად შესრულებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება გადახრით ქცევას. ამგვარად, დევიანტური ქცევა სოციოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული მიზნებისა, მისწრაფებების და მათი რეალიზაციის სოციალურად სტრუქტურირებულ საშუალებებს შორის შეუთანხმებლობის სიმპტომი.

2.4 ქცევის ინსტიტუციონალური წესების თანდათანობითი შესუსტებისას საზოგადოება არასტაბილური ხდება და მასში ვითარდება მოვლენა, რომელიც ე. დიურკემმა აღნიშნა ცნებით ანომია (უნორმობა). ანომია არსებობს თითქმის ყველა საზოგადოებაში სადაც მიზან-წარმატების აქცენტირება სულ უფრო შორდება მისი მიღწევის ინსტიტუციონალიზებული წესების ტოლ აქცენტირებას. სოციოლოგიამ კი უნდა შეისწავლოს და გაარკვიოს თუ როგორია ძირეული ცვლილებები იმ ადამიანთა ქცევაში, რომლებსაც განსხვავებული მდგომარეობა უკავიათ კულტურის სოციალურ სტრუქტურაში, სადაც მიზან-წარმატების აქცენტირება სულ უფრო და უფრო შორდება მისი მიღწევის ინსტიტუციონალიზებული წესების ტოლ აქცენტირებისას.

3. ანომიურ საზოგადოებაში კულტურული მიზნებისა და ნორმებისადმი ინდივიდთა შეგუების ტიპოლოგია, რომლითაც სოციალურ სტრუქტურაში განსხვავებული მდგომარეობა უკავიათ.

<i>შეგუების ფორმები</i>	<i>კულტურით განსაზღვრული ნიშნები</i>	<i>ინსტიტუციონალიზებული საშუალებები</i>
<i>1. კონფორმულობა</i>	+	+
<i>2. ინოვაცია</i>	+	-
<i>3. რიტუალიზმი</i>	-	+
<i>4. რეტრეტიზმი</i>	-	-
<i>5. ამბოხი</i>	+ -	+ -

3.1 კონფორმულობა ესაა კულტურულ მიზნებთან ინსტიტუციონალიზებული საშუალებების შესაბამისობა, რომელიც მით უფრო ფართოდაა გავრცელებული

როგორც შეგუების ტიპი, რაც უფრო მაღალია საზოგადოების სტაბილურობის ხარისხი.

3.2 **ინოვაცია** ესაა შეგუების ფორმა, რომელიც გამოწვეულია მიზან-წარმატების მნიშვნელოვანი კულტურული აქცენტირებით და მდგომარეობს ინსტიტუციონალურად აკრძალულ, თუმცა ხშირად სიმდიდრისა და ძალაუფლების, ან მათი მსგავსის მოპოვების ეფექტური საშუალებების გამოყენებაში. ასეთი რეაქცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდმა მოახდინა მიზნის აქცენტირების ასიმილირება, მისი მიღწევის გზებისა და საშუალებების მარეგულირებელ ინსტიტუციონალურ ნორმათა თანაბარმნიშვნელოვანი ათვისების გარეშე.

როდესაც კულტურულ ღირებულებათა სისტემა, რომელიც ფაქტობრივად არაფერს ანგარიშს არ უწევს, წინ წამოწევს და ამადღებს მთელი საზოგადოებისათვის საერთო წარმატების მიზნებს და ამავე დროს სოციალური სტრუქტურა მკაცრად ზღუდავს ან სავსებით უკეტავს გზას მოსახლეობის დიდ ნაწილს ამ მიზნების მიღწევას. აღიარებული წესებისაკენ – ხდება გადახრითი ქცევების მასშტაბთა ზრდა.

“ცრურწმენებისათვის საუცხოო ნიადაგია საზოგადოება, სადაც ადამიანების წარმატება პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული მის ღირსებებსა და მცდელობა-აქტიურობაზე. სტაბილური და კარგად მართული საზოგადოება ჭეშმარიტად ხელს უწყობს იმას, რომ ღირსეულმა და გულმოდგინე მოსწავლემ ცხოვრებაში წარმატებებს მიაღწიოს, ხოლო უღირსმა და ზარმაცმა – ვერა. ასეთ საზოგადოებაში ადამიანებს მიღრეკილება აქვთ მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ მიზეზობრივი კავშირების გონივრულ და თვალსაჩინო რგოლებს. მაგრამ (ანომიით დაავადებულ საზოგადოებაში) ბეჯითი, მოსაქმე, პატიოსნებისა და კეთილშობილების ჩვეულებრივი ქველმოქმედნი არასაკმარისად საჭირო ხალხადაა წარმოდგენილი” – ასეთ საზოგადოებაში ადამიანებს მისტიციზმი იპყრობთ და ისინიც ყველაფრის ახსნას “ბედისწერის”, “შემთხვევის”, “იღბლის” მეშვეობით ცდილობენ.

3.3 **რიტუალიზმი** შეგუების ეს ტიპი გულისხმობს დიდ ფულად სარჩობესა, მეტად მაღალ კულტურულ მიანებზე უარის თქმას, ან დაქვეითებას და სწრაფ სოციალურ მობილობას იქ, სადაც ეს მისწრაფებები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული დადგენილება – დანაწესი “ეცადე წარმატებების მიღწევას ამ სამყაროში” – უკუივდება და ამგვარად ჰორიზონტები

იკვეცება, ინსტიტუციონალური ნორმების თითქმის განუხრელი დაცვა კი გრძელდება. სოციალური რიტუალიზმისათვის დამახასიათებელია გამოთქმები: “მე ვცდილობ თავი არ გამოვეყო”; “ვთამაშობ ფრთხილად”; “ყველაფრით კმაყოფილი ვარ”; “ნუ ცდილობთ უმაღლესი მიზნების მიღწევას და იმედგაცრუებულებიც არ დარჩებით.” ეს გამოთქმები გამსჭვალულია იმ აზრით, რომ დიდი მოთხოვნები იწვევს იმედისგაცრუებას და საშიშროებას, ხოლო პატარა და უმნიშვნელო მოთხოვნები კი – კმაყოფილებას და სიმშვიდეს. რიტუალიზმი დამახასიათებელია საშუალო კლასის წარმომადგენლებისათვის.

3.4 **რეტრეტიზმი** თუ შეგუების პირველი ტიპი (კონფორმულობა) ყველაზე ხშირია, მეოთხე ტიპის შეგუება (კულტურული მიზნებისა და ინსტიტუციონალური საშუალებების უარყოფა) ყველაზე იშვიათად გვხვდება. ადამიანები, რომლებიც “შეგუებულნი” არიან (ან არ არიან შეგუებულნი) ამ აზრით ისინი, მკაცრად რომ ითქვას იმყოფებიან საზოგადოებაში, მაგრამ არ მიეკუთვნებიან მას. სოციოლოგიური თვალსაზრისით ისინი ნამდვილი “უცხოები” არიან, რამდენადაც არ იზიარებენ ზოგად სოციალურ ორიენტაციას ისინი საზოგადოების წევრებს შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ფიქტიურად (განსხვავებით მოსახლეობისაგან). ამ ტიპს განეკუთვნებიან ფსიქოზით დაავადებულნი, თავიანთ ავადმყოფურ სამყაროში მყოფნი, უარყოფილნი, დევნილნი, უსაქმურნი, მოხეტიალენი, ქრონიკული ალკოჰოლიკები და ნარკომანები. მათ უარი თქვეს კულტურულ მიზნებზე და მათი ქცევაც არ შეესატყვისება ინსტიტუციონალურ ნორმებს. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ რაიმე შემთხვევაში ამ ტიპის წყაროს წარმოადგენს, არა მათ მიერ უარყოფილი სოციალური სტრუქტურა და რომ მათი არსებობა არ ნიშნავს პრობლემას საზოგადოების წევრთათვის. ამ ტიპისათვის დამახასიათებელია: ინდივიდი მხარს უჭერს ვთქვათ კონკურენტულ წესწყობილებას, მაგრამ სიძნელეებისა და წარუმატებლობის პირობებში ინდივიდი ამოვარდება მისგან. თანდათანობით პროცესი, რომელიც ბოლოს და ბოლოს იწვევს იდივიდის “გაქცევას” საზოგადოების მოთხოვნილებებისაგან, ხასიათდება მარცხისადმი შემგუებლობით, დამშვიდებითა და მორჩილებით. ეს შედეგია მუდმივი წარუმატებლობისა მისწრაფებაში – მიაღწიოს მიზანს კანონიერი საშუალებებით და უუნარობისა – შინაგანი აკრძალვის გამო მიმართოს აკრძალულ წესებს. ეს პროცესი გრძელდება მანამ, ვიდრე მიზან-წარმატების უმაღლესი ღირებულება ჯერ კიდევ უკუგდებული არ არის. კონფლიქტი წყდება ორი ზემოქმედი ფაქტორის –

როგორც მიზნების, ისე საშუალებების უკუგდების გზით. გაქცევა მოხდა, კონფლიქტი აშორებულია, ინდივიდი კი გარიცხულია საზოგადოებიდან.

5. **ამბოხი.** შეგუების ამ ტიპს ადამიანები გაჰყავს გარემომცველი სოციალური სტრუქტურების ფარგლებს გარეთ და აღუძრავს მათ ახალი, ძლიერი, სახეშეცვლილი სოციალური სტრუქტურის შექმნის სურვილს. ეს გულისხმობს განსხვავება-გაუცხოებას გაბატონებული მიზნებისა და სტანდარტებისაგან, ხოლო მათი პრეტენზია კანონიერებასა და ინდივიდების მხრივ მხარდაჭერაზე – უსაფუძვლოდ, რამდენადაც მიზნებიცა და სტანდარტებიც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო.

ამბოხი, როგორც შეგუების რეაქცია, წარმოიშობა მაშინ, როცა არსებული სისტემა წარმოსდგება კანონიერად მიჩნეული მიზნების მიღწევის დაბრკოლებად. ორგანიზებულ პოლიტიკურ მოღვაწეობაში მოღვაწეობისათვის აუცილებელია არა მარტო უარის თქმა გაბატონებული სოციალური სისტემის მომხრეობაზე, არამედ მისი გადატანა ახალი მითის მფლობელ სოციალურ ფენებზე. მითის ფუნქცია მდგომარეობს მასობრივი იმედგაცრუების სოციალურ-სტრუქტურული წყაროს განსაზღვრასა და იმ ალტერნატიული სტრუქტურის გამოხატვაში, რომელმაც არ უნდა გამოიწვიოს ღირსეულთა იმედგაცრუება.

ამბოხურ მითს უპირისპირდება კონსერვატიული მითი, რომელიც იმედის გაცრუების ყველა წყაროს სოციალურ წყობაში კი არა თვით ნივთთა ბუნებაში ხედავს. იგი არის კონტრმითი, რომელიც ამბოხურ მითს უპირისპირდება. ორივე მიმართულია “წარმოსახვის მონოპოლიზაციისაკენ”. ისინი ცდილობენ უკმაყოფილებაზე მოახდინონ ისეთი ხასიათის გავლენა, რომ შეუერთონ ან პირიქით, ჩამოაცილონ ისინი მუამბოხური შეგუებისაგან.